

ფრანგი პროფესორის, ჟორჟ ნივას საჯარო ლექციის *Ce que nous dit Notre-Dame de Paris* ქართული თარგმანი

რას გვიამბობს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

2019 წლის 15 აპრილის საღამოს, დაახლოებით 18:35 საათზე ტაქსით მივდიოდი სენის სანაპიროზე. ჩემს მარცხნივ სენ-ჟულიენ-ლე-პოვრის პატარა სკვერი იყო, მარჯვნივ, სენის განტოტების მეორე მხარეს - ნოტრ-დამი. უცებ, პატარა ალი და შავი კვამლის ბოლქვი შევნიშნე, რომელიც ტაძრის შპილიდან ამოდიოდა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მეხანძრეები მხოლოდ დილის 5 საათზე გაუმკლავდებოდნენ ახალდაწყებულ ხანძარს, გადაარჩენდნენ მხოლოდ ტაძრის ქვის კარკასს და რომ შპილი და სახურავი ჩამოინგრეოდა და სისხლისფერი ღია ცის ქვეშ მოქცეულ ტაძრის ნავს სახურავის ნარჩენებითა და დამდნარი ტყვიით დაფარავდა.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ხსენებაზე უმაღლეს ვიქტორ ჰიუგო გვახსენდება. მისი რომანი 1831 წელს გამოქვეყნდა. მას ის ერთმა გამომცემელმა დაუკვეთა, რომელსაც უნდოდა, რომ ეს ყოფილიყო უოლტერ სკოტის რომანის სადარი, რომელსაც ახალი გამოქვეყნებული ჰქონდა ისტორიული რომანი და მთელს ევროპას სწორედ ასეთი რომანების წაკითხვა სურდა. ეს უკეთესად გავიგეთ 1937 წელს მოსკოვში გამოქვეყნებული უნგრელი ფილოსოფოსის, გეორგ ლუკაჩის წიგნის შემდეგ: დასრულდა გმირებისა და დიადი ხელმძღვანელების ეპოქა! მდინარის ცენტრში პერსონაჟების ისტორია მოექცა, რომელთა აზრები ბუნებრივად მიედინებოდნენ ამ მდინარეში. მთელმა ევროპამ გადაწყვიტა, ვინ უფრო უკეთ შეძლებდა, მეტოქეობა გაეწია უოლტერ სკოტისთვის. ტოლსტოიმ ისტორიული რომანი ზენიტში აიყვანა, შესანიშნავად დაასრულა რა (გარკვეული დროით) დიდი ადამიანების დესტრუქცია.

ჰიუგომ დიდებულად შეასრულა უოლტერ სკოტისნაირი რომანის შექმნის დაკვეთა: მისი პერსონაჟები ფიქრობენ, იტანჯებიან და ცხოვრობენ ისე, როგორც ეს ხდებოდა მე-15 საუკუნეში. რა თქმა უნდა, ისეთ მე-15 საუკუნეში, როგორადაც ის ვიქტორ ჰიუგოს წარმოედგინა მის მე-19 საუკუნეში, რომელიც ის-ის იყო იწყებოდა. ის და მისი მკითხველი მოესწრნენ ძველი რეჟიმის დაცემას, რევოლუციის გაღვივებულ ნაკვერჩხალს, იმპერიის აღზევებას, ფრთხილ რესტავრაციას (ბურბონთა დინასტიის აღდგენას) და სულ ცოტა ხნის წინ ჩამქრალი ცეცხლის გაღვივებას 1830 წლის 27-29 ივლისს (ცნობილია როგორც *les „trois glorieuses“* - „სამი დიდებული დღე“): მაგრამ კითხვა, რომელიც მუდმივად თან სდევს ამ მომენტს, ასეთია: ხანძრის საშიშროება კვლავ არსებობს? (*couve-t-il*

encore?). ჰიუგოს შემოჰყავს ცენტრალური პერსონაჟი, როგორც ეს გააკეთეს ბალზაკმა, დიკენსმა ან კიდევ მოგვიანებით ზოლამ: კოლექტიური, იდუმალი პერსონაჟი, *ქლაჟი*, უფრო ზუსტად, ქალაქი, სადაც სიცოცხლე დულს ტაძრის გარშემო, რომელსაც, როგორც რომანში ვნახავთ, ალყაში მოაქცევს მაწანწალების მთელ არმიასთან ერთად, ვიდრე უზარმაზარი ბასტილიის ერთ პატარა ოთახში დამალული, ბნელით მოცული ლუი XI თავის სბირს ბრბოს გასაჟლეტად გააგზავნიდეს. ეს პირქუში ტაძარი, ცენტრალური პერსონაჟი, როგორც მას ვიქტორ ჰიუგო აღგვიწერს შუა საუკუნეების მიწურულს, ნახევრად ნანგრევებს წარმოადგენდა. მაგრამ ეს იყო ამაყი ნანგრევები, რომელიც ხალხის წინაშე აღმართული იყო როგორც უზარმაზარი წიგნი, რომლის გაგება ვერ მოეხერხებინათ. რას გვიამბობდა ეს წიგნი?

რისი ამოკითხვა შეიძლებოდა 1482 წლის იმ საღამოს, როდესაც ჰიუგო აღგვიწერს, როგორ ანთებს უზარმაზარ ცეცხლს ყრუ, კუზიანი და უგვანო კვაზიმოდო ნავის ცენტრში და როგორ გადაასხამს დამდნარ ტყვიას ტაძრის თავდამსხმელებს?

რისი ამოკითხვა შეიძლებოდა 2019 წლის იმ საღამოს, ექვსასი წლის შემდეგ, როდესაც უზარმაზარი და გაოგნებული ხალხის მასა, რომლისთვისაც მსოფლიო ტელევიზიას მოეყარა თავი, როგორ უყურებდა, თუ როგორ ეხვეოდა ცეცხლის ალში ნავი და შპილი, რომელიც ანსახიერებს, ან უფრო სწორად, ანსახიერებდა არა უბრალოდ პარიზის, არამედ, უფრო მეტად საფრანგეთის გულს, სამეფოს ღერძს 508 წელს ფრანკი მეფის, კლოვისის მიერ მიღებული გაწყვეტილების შემდეგ, გადაწყვეტილებისა, რომელსაც უშურველად აძლიერებდა მას შემდეგ ყველა მომდევნო რეჟიმი...

რომანის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სცენაში ვიქტორ ჰიუგო ერთმანეთს შეახვედრებს ტაძრის არქიდიაკონს, კლოდ ფროლოს, რომელსაც ამომწურავად ჰქონდა შესწავლილი თეოლოგია, მედიცინა, ასტროლოგია, ჰერმენევტიკა, ალქიმია და ყველა მეცნიერება, რომელსაც მაშინ უნივერსიტეტში ასწავლიდნენ სიტეს აკვნის მარცხენა სანაპიროზე - და იდუმალებით მოცულ სტუმარს, რომელიც სხვა არავინ არის, თუ არა მეფე ლუი XI, რომელსაც სურდა, ტაძრის ნახევრად გიჟსა და იდუმალ, საშიშ ალქიმიკოსს შეხვედროდა. და სწორედ ამ დროს დაფიქრდება ვიქტორ ჰიუგო იმაზე, თუ რის წაკითხვას გვთავაზობს ტაძარი მე-15 საუკუნის დასასრულს. ჩვენს წინაშეა, გვეუბნება ის, ერთი ცივილიზაციის დასასრული და ახლის დასაწყისი. არქიტექტურის - ეგვიპტედან მოყოლებული, ერთადერთი და კაცობრიობის გამაერთიანებელი წიგნის - დასასრული და გუტენბერგის სტამბის, ცოდნის გაბნეული წიგნის დაბადება. იდუმალი სიტყვა, რომელიც, როგორც თავად ვიქტორ ჰიუგო შესავალში

გვეუბნება, ქვაზე ორ კოშკს შორის ამოიკითხა (იმ დროს თავისუფლად შეიძლებოდა ტაძრის ზედა ნაწილში გადაადგილება), სიტყვა ANANKÈ, ან ბედისწერა, ფატალურობა, გამოხატავს უზარმაზარი ეპოქის უცილობელ, გარდუვალ დასასრულს: უკვე არც ხალხს, არც მეცნიერებს შეუძლიათ ტაძრის დიდი ქვის წიგნის წაკითხვა. ჰიუგო განსაცვიფრებლად, შთამბეჭდავად გვანახებს, რა დაემართება ტაძარს: ის გადაიქცევა ნანგრევად, ნანგრევად, რომელიც უკვე ჩანს ჯერ ისევ აღმართული შენობის ქვეშ.

საბედისწეო საღამოს მეორე დღესვე დავბრუნდი სენ-ლუის კუნძულზე. ტაძრის სახურავის ხედი მართლაც ნანგრევის სახურავისა იყო, იმ ჩონჩხისა, რომელსაც მთლიანად გააცალეს ხორცი, უზარმაზარი გუმბათისა, რომლისგანაც მხოლოდ ცისკენ აღმართული კამარებიღა შემორჩენილიყო, როგორც ამას ჟუმიეჟის ან სხვა სააბატოების ძველ ნანგრევებში ვხედავთ, სააბატოებისა, რომლებიც ხანძრის გამო გამოშიგნულები დარჩნენ, ისეთები, რომლებზეც შატობრიანი ასე შთამბეჭდავად საუბრობს თავის *Génie du christianisme* (ქრისტიანობის გენია)-ში. მე-18 საუკუნეში ისე უყვარდათ ნანგრევები, რომ მათ ხელოვნურად აგებდნენ, როგორცაა მაგალითად „რეტის უდაბნოს“ (désert de Retz) ნანგრევები ვერსალთან ახლოს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ აქ აღმოვაჩინე ნანგრევების ის პოეტიკა, რომელსაც *რენეს* ავტორი შოტლანდიის ნანგრევებს ანიჭებდა, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ოსიანის პოეზიამ ასე დიდებულად შეამკო.

უცნაური რამ მოხდა. 2019 წლის 15 აპრილის საფრანგეთმა რამდენიმე დღით დაივიწყა მის მიერ საჯარო სივრცის საერო ხასიათის, სეკულარულობის შესახებ მიღებული კანონები, რომლებიც ქუჩაში რელიგიური მსვლელობების მოწყობას კრძალავს. ახალგაზრდების ჯგუფები საგალობლების სიმღერით მიემართებოდნენ სენ-ჟულიენ-ლე-პოვრის სკვერიდან სენ-ლუის კუნძულისკენ და ჩერდებოდნენ ჯერ კიდევ მბოლავი სახურავის წინ. არანაირი ჟანდარმერია არ ეცადა, მათთვის ეს აეკრძალა. ჩემი ბავშვობის მერე ასეთი სანახაობა არასოდეს მინახავს: 15 აგვისტოს ჩემს მშობლიურ კლერმონ-ფერანში მრავლად იყო უზარმაზარი, მრავალრიცხოვანი მსვლელობები, რომლებმაც მთელი ქალაქის პარალიზება მოახდინეს. 2019 წლის 16 აპრილს, თვით დაუმორჩილებელმა, თვით ტროცკისტულმა საფრანგეთმაც კი დაივიწყა თავისი მებრძოლი ათეიზმი თუ სისხლმარღვში გამჯდარი ანტიკლერიკალურობა, ხელისუფლებაც არ მიმართავდა ჩვენივე კანონების ამოქმედებას, რომლებიც რელიგიის მსახურთ საკუთარ სივრცეში დარჩენას უწესებენ. ის კი არა, ხანძრის დაწყებისთანავე გაეშურნენ Saint Suaire de Turin-ის შემდეგ მეორე რელიგიური სიწმინდის, მაცხოვრის წმინდა ეკლის გვირგვინის გადასარჩენად, რომელიც ახლა ლუერში ინახება.

საეპისკოპოსო სასახლიდან ის სამეფო სასახლეს დაუბრუნდა - მაგრამ დღეს ორივე შენობა რესპუბლიკას ეკუთვნის და ვერცერთი ეპისკოპოსი ამის გამო უკმაყოფილებას ვერ გამოთქვამს: ვერცერთი შეძლებდა ტაძრის მოვლას, ვერცერთი შეძლებდა მარტო, დამოუკიდებლად მის აღდგენას ნანგრევებიდან.

ჰიუგო მორწმუნე იყო, მაგრამ ეკლესია სძულდა: ეროვნული დაკრძალვის დროს, ორ მილიონიანი კორტეჟი, რომელიც მას ტრიუმფალური თალიდან პანთეონამდე მიაცილებდა, ღვთისმშობლის ტაძართან არ შეჩერებულა. თავად პანთეონი კი, რომელიც რესტავრაციამ კათოლიკურ მსახურებას დაუბრუნა, ხელახლა და საბოლოოდ იქნა დესაკრალიზებული ამ ახალ „პანთეონიზაციისთან“ დაკავშირებით. მივაქციოთ ყურადღება ერთ ფაქტს: მიუხედავად იმისა, რომ ჰიუგო უზარმაზარ ტაძარს არაჩვეულებრივად აცოცხლებს, რომანში რწმენასა და ღვთისმოსაობას ძალიან პატარა ადგილი უკავია. გაკვრით მოიხსენიებს, კვაზიმოდოს მიერ კოცონისგან გადარჩენილ, სამხრეთ კოშკის ქვეშ მიმალულ მოცუცქნულ კელიაში განმარტოებით შეყუჟულ ესმერალდას როგორ მოესმის ბუნდოვნად დაბლა ნამღერი საგალობლების ხმა, რომლებიც მას ღვთისმოსავი ფიქრების ნისლში ახვევენ და რომლებიც მასზე როგორც „დამამშვიდებელი“ ისე მოქმედებენ (შორს არ უნდა ვიყოთ მარქსის ცნობილი ფორმულიდან, რომლის თანახმადაც „რელიგია ხალხის ოპიუმია“!). ჰიუგოსთვის ტაძარი ქვის დიდი წიგნია, უფრო კულტურული, ვიდრე რელიგიური, რომლის დეტალებიც, სხვათაშორის, ამოუცნობია როგორც ხალხისთვის, ასევე ერუდირებულთათვის. ისევე, როგორც ჰეგელი, რომელიც იმ დროს ისტორიაში ხედავს დიალექტიკის უცილობელ წინსვლას, განვითარებას, ჰიუგო ღვთისმშობლის ტაძრის ქვაზე ხედავს წარწერას ANANKÈ; ტაძარი აღარ არის „წაკითხული“, არც მისი შინაარსია გაგებული, ქალაქისგან შექმნილი, მილიონ ეგზემპლიარად დაბეჭდილი სხვა წიგნი ქვის წიგნს ტახტიდან ჩამოაგდებს, დიდების შარავანდედს მოხსნის და კლერიკალურ ობსკურანტიზმს თავისუფლებითა და დემოკრატიით ჩაანაცვლებს.

XXX

მსოფლიო ემოციამ, ერთი თუ ორი დღით, ინტერნეტითა და ტელევიზიით დაკავშირებული თითქმის მთელი კაცობრიობა მკრეხელური ხანძრის სპექტაკლის მომსწრე გახადა (ხანძრისა, რომელიც გამოიწვია იქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებმა, როგორც ეს მოხდა სულ ახლახანს ვუინდსორის სასახლეში, ნანტსა და ვენეციაში) - ვინაიდან სარესტავრაციო სამუშაოებით გრძელდება დაბადების ფატალური ციკლი, ცივილიზაციების სიცოცხლე, სიკვდილი და აღორძინება: ხანძარმა შეგვახსენა 1919 წელს პოლ ვალერის მიერ ნათქვამი: „ჩვენ, ცივილიზაციებმა ახლა ვიცით, რომ მოკვდავნი ვართ“. მაგრამ ყოველი ადამიანური არსებისთვის იმის ცოდნა, რომ მოკვდავია და იმის დანახვა, როგორ

კვდება, სხვადასხვა რამ არის... დოსტოევსკის *ეშმაკში* შპიგულინის ფაბრიკის ხანძარი ასობით ღამისეულ მოხეტიალეს, მოქეიფეს, ან თუნდაც მთელს პატარა ქალაქს იზიდავს. მაგრამ მიმდინარე წლის 15 აპრილს ასობით კი არა, მილიარდობით ადამიანმა მიაშურა მედია საშუალებებს. აუდიტორია უდაოდ ისეთივე რაოდენობის იყო, როგორც ეს ამსტრონგის მიერ მთვარეზე პირველი ნაბიჯების დადგმის დროს ან 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში ორ კომპოზიციურ თვითმკვლელი ბოინგების შეჯახების დროს. მაგრამ ისმის კითხვა: მსოფლიოს მიერ ამ ცეცხლის ნახვამ რაზე დააფიქრა ეს პლანეტარული ცნობისმოყვარეები?

პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სასწრაფოდ უარყო ყოველგვარი ANANKÈ: ჩვენ აღვადგენთ უფრო დიდებულ ტაძარს, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა, უფრო ლამაზი შპილით, ვიდრე ვიოლე-ლე-დუკის შპილი იყო... მართლაც, შპილი, რომელსაც ჩვენ ყველანი ვიცნობთ, 1860 წლით თარიღდება. მან შეცვალა ადრინდელი შპილი, რომელიც პარიზელების მეხსიერებას არ შემორჩა, ვინაიდან მისი დემონტაჟი 1780 წელს მოხდა მისი სიძველის გამო. ვიოლე-ლე-დუკმა საფრანგეთის უამრავი გოთიკური და რომანული შენობა აღადგინა, მას უნდა ვუმაღლოდეთ კარკასონსა და მის გალავანს, მრავალი ტაძრის შპილებს, რომელთაგან ერთ-ერთი კლერმონ-ფერანის შპილია, ისეთი, როგორც მე მუდმივად მინახავს, მაგრამ რომელიც ძალიან განსხვავდება იმისგან, როგორც ის ცნობილი არქიტექტორის ჩარევამდე იყო. ვიოლე-ლე-დუკი ჩვენი ისტორიული წარმოსახვის მამაა. გალელთა პოლემიკას ოთხი-ხუთი დღე დასჭირდა, ამ კითხვას რომ დაგზრუნებოდით: საჭირო იყო თუ არა კონკურსის გამოცხადება ახალი შპილის შესაქმნელად? საჭირო იყო თუ არა ხუთი წლის ვადის დათქმა (ალბათ, აქედან 2 წელი გადარჩენილი ნაგებობის გაშრობას დასჭირდება)? ვნახეთ სხვადასხვა ჯურის კონსერვატორების მთელ არმია, რომლებიც ვიოლე-ლე-დუკსა და მის გოთიკურ წარმოსახვას იცავდნენ.

ღვთისმშობლის ტაძარი უკვე აღარ იყო ღვთისმსახურების ადგილი, ისეთი, როგორც ჩაიფიქრა და როგორც სურდა, რომ ყოფილიყო პარიზის ეპისკოპოსს მორის დე სულის (რომელიც ვერ მოესწრო მის დასრულებას), ის გახდა ერთგვარი სიმბოლური ადგილი, ან კიდევ, როგორც *les Lieux de mémoire* (მეხსიერების ადგილები)-ში გამოქვეყნებული არაჩვეულებრივი სტატიის - « Notre-Dame de Paris » - ავტორი Alain Erlande-Brandenburg ამბობს - « simultaneum », სადაც შესაძლებელია ყველაფრის აღნიშვნა, იქნება ეს რელიგიური თუ რესპუბლიკური დღესასწაულები, სადაც მარიამ ღვთისმშობლის თაყვანისცემას მთლიანად არ გადაუფარავს ნაციის თაყვანისცემა. ვინაიდან ეს ის ადგილია, სადაც უზენაესი არსება და ადამიანის უფლებები საზეიმოდ გამოცხადდა. აქ დაუბრუნდა თავის ადგილს 14 აპრილამდე სასწაულებრივად გადარჩენილი, რევოლუციას გამოგლეჯილი სტრუქტურული ანსამბლი « Vœu de Louis XIII » - „ლუი XIII-ის

სურვილი“ (მისი სურვილი იყო, საფრანგეთი მიემღვანა ღვთისმშობლისათვის, თუ უფალი მას ვაჟს აჩუქებდა - ეს ვაჟი ლუი XIV იყო). აქ იკურთხა თავი იმპერატორად ნაპოლეონმა, მისი პატიმრის, პაპ პი VII-ს თანდასწრებით მაშინ, როდესაც უზარმაზარი ტრიუმფალური თაღი ფასადს ამშვენებდა. ფრანგი მოსწავლეების არა ერთი თაობა დამტკბარა მათ სახელმძღვანელოებში ილუსტრირებული დავითის ტილოთი, რომელმაც კარგად დააფიქსირა თვითგამოცხადების ეს მომენტი ან, უფრო ზუსტად, ის მომენტი, როდესაც ნაპოლეონი გვირგვინს ადგამს მის მეუღლეს, ჟოზეფინ დე ბოარნეს (რომელზეც მალე უარს იტყვის).

ხელისუფლებასა და ტაძარს შორის არსებული თითქმის ბიზნტიური „სიმფონია“ მთელი სიძლიერით წარმოჩინდა მე-19 საუკუნეში და ის დღემდე გრძელდება. ამაში დავრწმუნდით, როდესაც ჩვენმა პარლამენტმა, მაკრონის ინიციატივით, 24 აპრილს, ანუ კატასტროფიდან ათი დღის შემდეგ, დაჩქარებული წესით მიიღო სპეციალური კანონი, რომელიც ითვალისწინებს ტაძრის აღდგენითი სამუშაოების გათავისუფლებას ყოველგვარი ვადებისა და კანონიერი დაბრკოლებებისგან. აი, რა წერია ახალი კანონის პირველ აბზაცში: „ ჩვენი სიტყვს შუაგულში აღმართული პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი გამოხატავს იმ დიდ უწყვეტობას, რომელიც ქმნის ფრანგ ერს და რომელიც მას მსოფლიო ისტორიაში უმკვიდრებს ადგილს. ხელოვნების გვირგვინი, რომელიც მთელს ევროპაში კამკაშებდა, წმიდათაწმიდა სივრცე და ლიტერატურული ძეგლი, გათავისუფლებული საფრანგეთის ხსოვნის ადგილი, სახალხო თავშეყრისა და სულიერების ადგილი, ნოტრ-დამი არის უბედურებებისა და რყევების დამღევის, ჩვენი კოლექტიური ხვედრის მეხსიერება“. ათი დღეც არ იყო გასული ხანძრიდან, კანონმა ჩვეულებრივ ეროვნულ ფისკალურ ნორმებზე უარი რომ გამოაცხადა და ნება დართო მთავრობას, გამოეტანა დადგენილება ურბანიზმის წესებისა და ეკოლოგიური განკარგულებების დარღვევის დაკანონების შესახებ. თუმცა, ამას ნაკლებად შეიძლება, „სიმფონია“ ვუწოდოთ. ეს უფრო კომერციული დანიშნულების მინიჭებაა ტაძრისთვის, რომელიც გახდა მსოფლიო ტურიზმის აუცილებელი მომლოცველობის ადგილი, სადაც შეუჩერებლივ გადაადგილდებოდა, თვით ღვთისმსახურების დროსაც, მსოფლიო საშუალო კლასის უზარმაზარი კოჰორტა - , რისი ატანაც მოუწია ნოტრ-დამს 2019 წლის 15 აპრილის მოულიდნელ, მაგრამ ფატალურ დღემდე. ისე, რომ მან ამის შესახებ არ იცოდა, ნოტრ-დამი მზად იყო ამ თითქმის მსოფლიო მასშტაბის *happening*-სთვის, რომელიც თითქმის წინასწარ განჭვრიტა ჰიუგომ თავის რომანში: 2019 წლის 15 აპრილის ხანძარი!

ტაძრის მითი, რომელიც დღეს მრავალტირაჟიან ყოველკვირეულ გამოცემებში განახლდა, აღდგენილ იქნა ლონდონში ემიგრირებული მწერლის, შატობრიანის მიერ იმ სიძულვილის შემდეგ, რაც მის მიმართ გამოხატა ჯერ ფრანგულმა კლასიციზმმა, შემდეგ კი რევოლუციამ. მისმა 1801 წელს გამოქვეყნებულმა ნაწარმოებმა *Génie du christianisme* (ქრისტიანობის გენია) ქრისტიანობა გულგრილობისა და სიძულვილისგან იხსნა - ოღონდ მისი ესთეტიკური მხარის წინა პლანზე წამოწევით. სხვათაშორის, მას ქვესათაურად აქვს „ქრისტიანული რელიგიის სილამაზე“. ჩიტების ჭიკჭიკი, ნანგრევის წინაშე განცდილი ემოცია, ლიტურგიის დიდებულება შუასაუკუნეების თეოლოგიას ენაცვლება. მისი მეგობრის, ფონტანის ელოიზისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელსაც ის ციტირებს, შატობრიანი ტაძარს მოიხსენიებს ისეთს, როგორც შეიძლება დაინახოს აბელარის საყვარელმა, ელოიზმა, რომელიც სენის მარცხენა სანაპიროზე, ტაძრის პირდაპირ მდებარე Chartreuse de Paris-ის (პარიზის სავანე) წინამძღვარი გახდა:

Ces vénérables tours (qui) qu'allongent vers les cieux
 La cathédrale antique où priaient nos aïeux,
 Ces tours ont conservé notre amoureuse histoire.
 Là tout m'en parle encore, là revit la mémoire.

ეს მრავალსაუკუნოვანი კოშკები, რომლებსაც ზეცისკენ აუზიდავთ / ანტიკური ტაძარი, სადაც ჩვენი წინაპრები ლოცულობდნენ, / ამ კოშკებმა შემოინახეს ჩვენი სასიყვარულო ისტორია. იქ ყველაფერი ჯერ კიდევ ამაზე მესაუბრება, იქ ცოცხლდება მეხსიერება.

ანტიკურ ტაძარში ჰიუგო სხვა სიყვარულის ისტორიებს განავითარებს: დემონური მღვდელმთავრისა და ტაძრის მნათეს, კუზიანი კვაზიმოდოსი, რომლებსაც თავდავიწყებით უყვართ ახალგაზრდა ეგვიპტელი ან ბოზა, ესმერალდა¹. ჰიუგო, ისევე როგორც შატობრიანი, მწერალი და იმავდროულად, პოლიტიკოსია, და თუ მათი გზები მნიშვნელოვნად განსხვავდება, გარკვეული მოსაზრებით, ერთის მიერ დაწყებული ქრისტიანობის გადარჩენა გრძელდება

¹ესმერალდა სინამდვილეში მოტაცებული ბავშვია, რომელიც რომანის დასასრულს, პათეტიკურ ვითარებაში, დედამისს პოულობს. რომანტიზმამდე, სენტიმენტალიზმის ეპოქაში ძალზე მოდაშია მოტაცებული ბავშვის თემა. 1818 წელს გამოქვეყნებული მერი შელის *Frankenstein*-დან მატურიის *Melmoth*-ამდე (1820), ის ხდება მხურვალე გრძნობების სკოლის ინსპირაციის წყარო და ადამიანური არსების სისუსტეზე ამახვილებს ყურადღებას.

მეორეს მიერ, მგრამ ეკლისიის წინააღმდეგ. წარმატებული გადარჩენა, ვინაიდან ამდენ სამეფო Te Deum-ს (ნამღერი პარიზში შარლ VII-ს შესვლისას, ანრი IV-ს შესვლისას, რომელმაც უარყო პროტესტანტიზმი - „პარიზი ნამდვილად ღირს ერთ მესად“) მოჰყვა სხვა უამრავი Te Deum ბასტილიის აღების შემდეგ და პირველი სწორედ ბასტილიის აღების აღსანიშნავად, და ჩვენთან უფრო ახლოს, გენერალ დე გოლისთვის, აბატი პეტრესთვის, კათოლიკური კოლეჯის ყოფილი პანსიონერის, პრეზიდენტ მიტერანისთვის, რომელიც ვოლტერის მიმდევარი გახდა, მაგრამ რომელმაც თავის ანდერძში მიაწინა, რომ „შესაძლებელია ერთი Te Deum ნოტრ-დამში“.

პირადად ჩემთვის, ნოტრ-დამი უკავშირდება პოეტის (და საფრანგეთის ელჩის), პოლ კლოდელის დაკრძალვას. მქონდა და დღესაც მაქვს განსაკუთრებული მოკრძალება ამ უზარმაზარი პოეტისა და დრამატურგის, მე-20 საუკუნის შექსპირის მიმართ; *Cinq Grandes Odes - ხუთი დიდი ოდა* - ჩემი, ლუი-ლე-გრანის ლიცეუმის პანსიონერის სტუდენტური სამაგიდო წიგნი (ერთგვარი ლოცვანი) იყო. კლოდელის დაკრძალვის დღეს, 1955 ლის 1-ელ მარტს, მე ვიდექი მარჯვნივ, მეორე სვეტის უკან, იმ ადგილას, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, რწმენა მეხივით დაატყდა თავს. ნოტრ-დამი გადავსებული იყო. ამბობენ, ჟან-ლუი ბაროს წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვა დიდებული იყო. მაგრამ მე მას არ ვუსმენდი. მე ვიმეორებდი მის ხუთ დიდ ოდას.

O les longues rues amères et le temps où j'étais seul et un !
La marche dans Paris, cette longue rue qui descend vers Notre-Dame !

ო გრძელი მწარე (მწუხარე) ქუჩები და დრო, როდესაც ვიყავი მარტო და ერთი! / სიარული პარიზში, ამ გრძელ ქუჩაზე, რომელსაც ნოტრ-დამისკენ მივყავართ!

ნოტრ-დამი და ამ ქვის დიდ წიგნებში ამოკვეთილი ღვთისმოსაობა, როგორებიც გოთიკური ტაძრებია, ჰიუგოს შემდეგ კვლავ გამოჩნდა კათოლიკური პოეტიკის განახლების წყალობით: Claudel, Bloy, Péguy, Francis Jammes და სხვები. მართალია, შარლ პეგის შარტრის ტაძარი ერჩივნა, სადაც ის პარიზიდან ფეხით წავიდა მოსალოცად, მაგრამ ნოტრ-დამის მიმართ მის მიერ გამოხატული თაყვანისცემა, შეიძლება ითქვას, *l'introit* - წირვის წინ, მღვდლის შესვლისას შესასრულებელი გალობაა.

Étoile de la mer, voici la lourde nef
Où nous ramons tout nus sous vos commandements ;

Voici notre détresse et nos désarmements ;
Voici le quai du Louvre, et l'écuse, et le bief.

ზღვის ვარსკვლავო, აი მძიმე ნავი, / სადაც ჩვენ მთლად შიშვლები თქვენი
მცნებების ქვეშ მივცურავთ; / აი ჩვენი განსაცდელი და ჩვენი სიმშვიდე; / აი
ლუვრის სანაპირო, და რაზი, და ბიეფი.

თუ ჰიუგო უფრო მეტად ვიოლ-ლე-დუკის მითითებით გამოქანდაკებულ
გარგოილებს ხედავდა, კლოდელს და პეგის კრიალოსნის ჩამარცვლისას ნათქვამი
ლოცვა ესმოდათ და დიდი როზეტების იდუმალეებაში ნოვალისის ანგელოზების
ზეციურ ქოროს ხედავდნენ.

XXX

პოეტი ოსიპ მანდელშტამი პარიზში 1911 წელს ჩამოვიდა, მან არაერთგზის
მოინახულა ნოტრ-დამის საკურთხევლის გრანდიოზული კონსტრუქცია. მისი
ლექსი Notre-Dame არის პარიზის ტაძრის ადგილის ინტერპრეტაცია მსოფლიოს
ისტორიასა და მთლიანობაში. „ო, რატომ არ ვარ შენსავით ქვისგან ნაგები!“ ოხრავს
ერთ-ერთ ყველაზე საშინელ გარგოილს შემოხვეული შემზარავი კვაზიმოდო
ესმერალდას გაუჩინარების მერე. მანდელშტამის პოეზიაც თითქოს ოხრავს
„რატომ არ ვარ ქვის!“ მისი პირველი კრებულის სათაურია „ქვა“, და ლექსი „Notre-
Dame“, რომლის სათაურიც ფრანგულია, ამ კრებულშია, ზუსტად იქ, სადაც უნდა
იყოს, „მრგვალი და და მოკრძალებული ქმნილების“, ბიზანტიის ტაძრის, წმინდა
სოფიას შემდეგ, რომელიც გაუძლებს ხალხებსა და საუკუნეებს. აი, როგორ
ესალმება მანდელშტამი ტაძარს:

Là où le juge romain jugeait un peuple étranger,
Se dresse la basilique, et, comme le premier Adam
Lorsque, jubillant, il étira tous ses nerfs,
Sa voûte légère joue de tous ses muscles.

იქ, სადაც რომაელი მოსამართლე უცხო ხალხს ასამართლებდა /
აღმართულია ბაზილიკა, და, ისევე, როგორც პირველმა ადამმა / როდესაც,
მოზეიმემ, ყველა ნერვი დაჭიმა, / მისი მსუბუქი თალიც ყველა თავის კუნთს
ათამაშებს.

ამ ლექსში ყველაზე გასაოცარი პირველი სტრიქონია, ანუ დადასტურებული
კავშირი რომაულ იმპერიასა და კაროლინგურ ტაძარს შორის, სრულიად რეალური
კავშირი, ვინაიდან ნოტრ-დამის ქვეშ აღმოჩენილია აბატის სასახლე და ეს აბატის

სასახლე მდებარეობს ლუტეციის მთავარი რომაული ბანაკის ადგილას (ლუტეციის რომაული სამხედრო დაჯგუფების უფროსის .

Labyrinthe premier, forêt indéchiffrable !
De l'âme gothique - abîme rationnel,
De l'Égypte - force, du christianisme - pudeur.
Le chêne au roseau lié, et partout l'aplomb-roi.

ლაბირინთი პირველი, გაუვალი ტყე! / გოთიკური სულისგან - რაციონალური უფსკრული, / ეგვიპტისგან - ძალა, / ქრისტიანობისგან - მოკრძალება. / ლერწამშემოხვეული მუხა, და ყველგან მეფური თვითდაჯერებულობა.

როგორც ვხედავთ, მანდელშტამს ალაფროვანებს დამორჩილებული ძალა, უზარმაზარი ნერვიურები და მათი კონტრფორსები, შუქების კაპიტელები და ჩრდილის ხვეულები (replis). ამ დამორჩილებული ძალის ყურებისას ის ამბობს: „უხეში მასისგან ერთ დღეს მეც შევქმნი სილმაზეს!“ მოკლედ, ნოტრ-დამი ხელოვნებისათვის, სიცოცხლისათვის, კაცობრიობის ისტორიისათვის პოეტიკის გაკვეთილია. იგივე გაკვეთილს კითხულობს პოეტი, როდესაც პეტერბურგში საადმირალოს შპილს უყურებს: „სილამაზე ნახევარ-დმერთის კაპრიზი კი არ არის, არამედ უბრალო დურგლის ხარბი ფარგალია.“ ასე რომ, რუსეთმა შემოგვთავაზა ნოტრ-დამის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ჰიმნი.

XXX

მაგრამ ისიც დავინახეთ, როგორ ამოხეთქა სხვა რამემ მსოფლიო დონეზე ტელევიზიით გადაცემული ხანძრის დროს. ის, რასაც გერმანელები ეძახიან „Schadenfreude“ - ბოროტი სიხარულის განცდა იმის დანახვაზე, როგორ დაატყდა თავს უბედურება მეზობელს. 2005 წლიდან მოსკოვში მუდმივად გამოიცემა (და მრავალ ენაზე ითარგმნება) ელენა ჩუდინოვას *პარიზის ღვთისმშობლის მეჩეთი*. გარეკანზე ხანძარს კი არ ვხედავთ, არამედ ნოტრე-დამის მეჩეთს, კომპეზზე დამატებული პატარა მინარეთებით. ათი წლით ადრე უელბეკის ნაწამოების *Soumission - მორჩილება* - გამოსვლამდე, ჩუდინოვა წარმოგვიდგენს ისლამს დამორჩილებულ პარიზს და ნოტრ-დამის კომპეზიდან მთელი ძალით მყვირალ მუეპინებს. ხანძრის შემდეგ წიგნის გავრცელება შეწყდა. რაც შეეხება რუსეთში გაკეთებულ კომენტარებს, ისინი ზოგჯერ გვაოცებენ: მოსკოვის მღვდელთმთავარი, ანდრეი ტკაჩოვი ხანძრის მეორე დღეს წერდა: „წმინდა ნაწილები (რელიქვიები) წაართვეს მათ, რომლებიც მათი ღირსნი არ არიან. [...] ტაძარში ლოცვა თუ არ აღევლინება, ის კვდება. ვიდრე დაიწვებოდა, ნოტრ-დამი (როგორც ევროპის სხვა წმინდა ადგილები) წაბილწა უსაქმურ ცნობისმოყვართა

აჭრებულმა ბრბომ და დააბრმავა ფოტოაპარატების ფლემებმა. ამ უზარმაზარ ხანძარში ერთგვარი კანონზომიერება და გარდუვალობაა, მიუხედავად იმისა, რომ ის მოულოდნელი იყო. იმედი ვიქონიოთ, რომ ის არ შეასრულებს კოცონის როლს იმ ევროპისათვის, რომელსაც ართმევენ იმას, რისი დაფასებაც მან დიდი ხნის წინ შეწყვიტა და ასევე დიდი ხნის წინ შინაგანად დაკარგა.“ ამ შემთხვევაში მღვდელთმთავარი უფრო დიდ ინკვიზიტორს ენათესავება, ვიდრე ქრისტეს.

იყო დრო, როდესაც ნოტრ-დამის მრევლის მიმართ გამოთქმული საყვედური განსხვავებული იყო. როდესაც იულია კრისტევას შეკითხვა დავუსვი, თუ როდის იგრძნო თავი უცხოდ 1965 წელს პარიზში ერთი სუს გარეშე ჩამოსულმა ახალგაზრდა ბულგარელმა, მან მიპასუხა: „შობის პირველივე საღამოებიდან, როდესაც ნოტრ-დამში ღამის თორმეტი საათის წირვაზე შევხვდი წულას ბეწვის ქურქებსა და ქიშმირის შალებში გახვეულ, უკარებელ ფრანგებს.“ ვფიქრობ, ღამის წირვის დამსწრეებში ბეწვის ქურქები გაქრა, მაგრამ საყვედური რჩება, მისი ფორმულირება ყველაზე შთამბეჭდავად პაპმა ჟან-პოლ II-მ მოახდინა: „საფრანგეთო, რა უქენი შენს ნათლობას?“ ჩვენ ვიცით, რომ ფრანგების გაქრისტიანება გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ფრანკი მეფისა. მაგრამ კლოვისთან ერთად მთელი სამეფო მოინათლა, ეს იყო „სიმფონია“ სახელმწიფო-ეკლესია, რომლის სიმბოლოს წარმოადგენდა ნოტრ-დამი, რომელიც ის-ის იყო იბადებოდა. ხუთი წლის წინ პრეზიდენტმა პუტინმა, პატრიარქმა კირილმა და ნატალია სოლჟენიცინმა, მწერლის ქვრივმა, მოსკოვში გახსნეს წმინდა ვლადიმირის-მოციქულების-სადარის ძეგლი. წოდება მოციქულების-სადარი ეძლევა ყველას, ვინც პირველი საუკუნიდან დღემდე ერს მოაქცევს ქრისტიანად. ცხადია, ასეთი ცერემონია წარმოუდგენელია დღევანდელ საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ კლოვისიც იყო „მოციქულების-სადარი“, მაგრამ არ იყო წმინდანი. პოლონელი პაპის ჟან-პოლ II-ს საყვედური ისევ ძალაშია.

ჟურნალისტმა იულია ლატინინამ, ოპოზიციური რადიოს *მოსკოვის ექო* წამყვანმა მიმომხიველმა, ხანძრის შესახებ ინფორმაცია, შეიძლება ითქვას, დამცინავი ფორმით წარმოადგინა: „ამ კვირას დიდ ტურისტულ ატრაქციონს სახელად Notre-Dame-de Paris წარმოუდგენლად გაუღიმა ბედმა: ის „live“-ში იწვოდა ყველა ტელევიზიაში.“ თან დაუმატა: „აი შენობების რეტსტავრაციის კარგი ფორმა - ცეცხლი წაუკიდო და მილიარდები მოიხვეჭო“... რადიო *მოსკოვის ექო*ზე ლატინინას თითქმის რვაასი ათასი მსმენელი ყავს. ყოველ შემთხვევაში, მას მიაჩნია, რომ ევროპას მუსულმანები ეპატრონებიან, ეკლესიები წაბილწულია, ქანდაკებებს თავი აქვთ მოჭრილი „Allah Akbar!“-ის ყვირილით. „აი, მე რას გთავაზობთ პარიზის ღვთისმშობლის რეკონსტრუქციის თაობაზე: არ დააყოვნოთ და მისგან ახლავე შექმენით ნოტრ-დამის მეჩეთი. რაც შეეხება მინარეთებს, ამაზე

მოგვიანებით.“ სხვათაშორის, ლატინინა თავისებურად საუბრობს ცივილიზაციათა სიკვდილზე: მას გამორჩეულად უყვარს არტემისის ტაძარი ეფეზში, რომელიც ხანძარმა გაანადგურა და რომლის ქვებიც წმინდა იოანეს საფლავისთვის გამოიყენეს. „არ ვისურვებდით, რომ ჩვენი ცივილიზაციაც იმავე ეტაპზე იყოს, როგორც მაშინდელი რომის იმპერია...“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, 15 აპრილის ხანძარმა საშუალება მისცა ამ Schadenfreude-ს, დღის სინათლეზე გამოსულიყო. და ეს Schadenfreude დღევანდელ რუსეთში და სხვაგან იკვებება იდეით, რომ დასავლეთი, განსაკუთრებით საფრანგეთი, ისლამმა წააღწია. უელბევი რუსეთში ბესცელერია.

11 სექტემბერმაც გამოიწვია Schadenfreude. მე და ჩემი მეუღლე ბრაზილიაში, სანტიაგოს ტაძარში ვიყავით, როდესაც ერთი ამერიკელი ტურისტი ქალბატონი iPhone-ში ყურებისას მულოდნელად დაეცა. პატარა კაფეში, სადაც ტელევიზორის საყურებლად შევედით და სადაც თავდასხმა კომპიუტერზე უწყვეტად გადაიციმოდა, როგორც ყველგან მსოფლიოში, პუბლიკა იყო დამცინავი და აშკარად საკმაოდ ბედნიერი. გადავიკითხეთ დოსტოევსკის *ემმაკნი*: „ღამე დიდი ხანძრის დანახვა იწვევს ერთგვარ ნერვიულ შოკს, აღვიძებს ნგრევის ინსტინქტებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ყველა სულშია მიძინებული. ეჭვი მეპარება, შესაძლებელი იყოს ისე უყურო ხანძარს, გარკვეული სიამოვნება რომ არ გამოხატო“, აცხადებს სტეფან ტროფიმოვიჩი დამწვარი უბნის დატოვებისას. 15 აპრილის საღამოს და მთელი დღის განმავლობაში, რომელიც ამ „სპექტაკლს“ მოჰყვა, მთელმა სამყარომ რაღაც იმის მსგავსი განიცადა, დოსტოევსკი რომ აღწერს თუ ეფეზის მოსახლეობის თრთოლვის მსგავსი, როდესაც მათ დაინახეს, როგორ ინგრეოდა არტემისის ტაძარი, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი? ეფეზისა, რომელიც გაქრისტიანდა და რომელიც დღეს მხოლოდ ტურისტული ადგილია?

საბედნიეროდ, პარიზი ეფეზი არ არის; „ნანგრევის“ გარშემო პარიზი კვლავაც ფეხზე დგას. და ჩვენ შეგვიძლია, ვიდრე ნოტრ-დამში დავბრუნდებოდეთ (მაგრამ როდის?), ვიოცნებოთ კლოდელის მეორე სვეტზე და ხელახლა წავიკითხოთ შარლ პეგი. ფასადი ხელუხლებელია, თუმცა მასთან ვერ მივალთ. რადგან ტაძრის წინ მდებარე მოედანი უნდა გააუვნებელყო ტყვიისგან, რომელიც იმ საღამოს ისევე მოედინებოდა, როგორც რომანის საღამოს, როდესაც კვაზიმოდომ უზარმაზარი ცეცხლი დაანთო ორ კომპს შორის და დამდნარი ტყვია გარგოილებიდან გადაასხა მაწანწალებს, რომლებიც ტაძარს უტევდნენ. ტიტანური იდეა, რომელმაც აღმართა ქვის წარმოუდგენელი წიგნი, თითქმის უკვე მკვდარი იყო, გვეუბნება ჰიუგო. ქვის წიგნი დანებდა ქალაქის წიგნს. დღეს ციფრული წიგნი, რა თქმა უნდა, გვთავაზობს იმ ადგილის ვირტუალური დათვალიერების საშუალებას, რომელიც ჯერ-ჯერობით მონახულებადი არ არის. მაგრამ შევძლებთ

კი, კიდევ წავიკითხოთ იქ ის, რისი თქმაც სურდა გოთიკური აზროვნების
„ჩასვენებულ მზეს“?

Georges Nivat

Ce que nous dit Notre-Dame-de-Paris

Le soir du 15 avril 2019, vers 18 heures 35, passant en taxi sur le quai de la Seine, j'avais à ma gauche le petit square de Saint-Julien-le-pauvre, j'avais à ma droite, de l'autre côté du bras de Seine, Notre-Dame, mais je vis aussitôt une petite flamme et un panache de fumée noire (შავი კვამლის ბოლქვი) qui montaient de la flèche de la cathédrale (ტაძრის) (კათედრალის შპილიდან). J'étais loin d'imaginer que les pompiers ne maîtriseraient l'incendie naissant que vers cinq heures du matin, sauvant l'ossature de pierre (ქვის კონსტრუქციას) de la cathédrale, mais que la charpente (კონსტრუქცია, ჩონჩხი) et la flèche (შპილი) allaient s'effondrer, noyant (დაფარვა) la nef (ნავი) ouverte sur le ciel rouge sang de débris de charpente et de plomb (ტყვია) fondu.

Qui dit « Notre-Dame-de-Paris » dit Victor Hugo. Son roman parut en 1831 ; il lui avait été commandé par un éditeur qui voulait un roman à la Walter Scott, Walter Scott venait de créer le roman historique et toute l'Europe en voulait. Ce qu'on comprit mieux après le livre de Lukács, écrit en 1937 (à Moscou) : finis les héros et les grands chefs! Au centre du fleuve histoire des personnages dont les pensées restituées coulaient naturellement dans ce fleuve. Toute l'Europe rivalisa donc à qui mieux mieux avec Walter Scott, et Tolstoï porta le roman historique au zénith, en parachevant (სრულყოფა, დასრულება) (pour un temps გარკვეული დროით) la destruction (დაშლა) des grands hommes.

